პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი
ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

4 სეკტემბერი
კვირა
1920. გამოქვეყნებულია „მუშების საბჭოს“ მანიფესტი: საბჭ. პროტესტს აცხადებს, რომ ბრიტანეთის მთავრობა ეხმარება პოლონეთს რუსეთის წინააღმდეგ.
1870. ნაპოლეონ 3 მონარქიის დამხობა საფრანგეთში. შედგა თავდაცვის სამინისტრო.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დღ. 10 ს.—2 ს.
ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

გაზეთის დაგზავნა
და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4.
ტელეფონი №

დ ღ ი უ რ ი

— განზრახულია ვაშინგტონის კონფერენციაზე საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობის მიწვევა.
— ინდოეთში ინგლისის საწინააღმდეგო [illegible] გრძელდება. ინგლისის მთავრობამ გამოაცხადა სამხედრო წესები; შეტაკების დროს მოკლულია 400 ინდოელი.
— ირლანდიაში ხდება სისხლის მღვრელი შეტაკებები. ინგლის ირლანდიის ურთიერთობა უდიდესად გამწვავდა.

№ 152 კვირა, 4 სეკტემბერი, 1921 წ. ყ ო ვ ე ლ დ ღ ი უ რ ი გ ა ზ ე თ ი კვირა, 4 სეკტემბერი, 1921 წ. № 152

კომუნისტური ახალგაზრდობის სრულიად კავკასიის ყრილობა

ამ დღეებში ქ. ბაქოში გაიხსნა კომუნისტური ახალგაზრდობის სრულიად კავკასიის ყრილობა, რომელიც მოწოდებულია უდიდესი მნიშვნელობის კვალი დაამჩნიოს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო კავშირისათვის წარმოებულ მუშაობას.

ჩვენ არა ერთხელ გვქონია აღნიშნული ის ფაქტი, რომ საერთო რევოლიუციონური ფრონტის შერყევამ კავკასიაში და ნაციონალურ ბურჟუაზიული სახელმწიფოების აღმოცენებამ, მათ სათავეში შოვინისტური პარტიების მოქცევამ ხელახლა გააღვივა ხელოვნურათ საერთო რევოლიუციონური ბრძოლით დაძლეული ტრადიციული შუღლი და მტრობა ჩვენ მხარეში და ამნაირათ უხვი საკვები მისცა მშრომელი მასსების იდეალებისათვის დამღუპველ შოვინისტურ შხამს. სახელმწიფოებრივი აპარატის მთელი შესაძლებლობით სამი წლის განმავლობაში წარმოებულმა მუსავატელების, მენშევიკების და დაშნაკცაკანების კაცთმოძულეობის დაუღალავმა მუშაობამ მოწამლა პოლიტიკური ატმოსფერა, მოახდინა დემორალიზაცია მშრომელ მასსებში, დაქსაქსა საერთო რევოლიუციონური ბრძოლის ენერგია, გააბრუნდა მისი ჭეშმარიტი პერსპექტივები. ყოველდღიური მუშაობა ჩვენი მხარის ეკონომიური და პოლიტიკური აღმშენებლობისათვის წარმოუდგენლათ მიგვაჩნია საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო კავშირის გარეშე, ჩვენ დღესაც ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე გვიხდება სასტიკი ბრძოლა ამ პარტიების „მოღვაწეობის“ ნაშთთან მის გადასალახავათ და სხვადასხვა ნაციონალურ ერთეულებს შორის აღმართულ კედლების ჩამოსანგრევათ, შოვინისტური სულის აღმოსაფხვრელათ. მომავალშიდაც ეს საქმე შეიწირავს ჩვენი რევოლიუციონური ენერგიის მნიშვნელოვან ნაწილს და ამ ბრძოლაში ერთ-ერთ მოწინავე რაზმათ გვევგულება, ჩვენი კომუნისტური ახალგაზრდობა აღჭურვილი ისეთივე დაუღალავი ენერგიით, რომელიც მას ახასიათებდა ამ მხრივ დღემდისაც. ჩვენი ახალგაზრდა ამხანაგების ორგანიზაციამ, როგორც საქართველოში, ისე სხვა მეზობელ რესპუბლიკებში ახალი ძალაუფლების გამოცხადებისთანავე აღიმაღლა ხმა საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელი მასსების ორგანიზაციულათ გაერთიანებისათვის, მუშურ-გლეხურ სახელმწიფოების მჭიდრო კავშირისათვის. მათმა დაუღალავმა, ახალგაზრდული გატაცებით ურთიერთ შორის დახმარებით შეთანხმებულმა გამაერთიანებელმა მუშაობამ მძლავრათ შეუწყო ხელი გამეფებული შოვინისტური ბურუსის გაფანტვას, მის შესუსტებას. მათ სძლიეს წლობით განმტკიცებული დაბრკოლებანი და მოამზადეს დღეს ბაქოში შეკრებილი სრულიად კავკასიის კომუნისტური ახალგაზრდობის პირველი ყრილობა, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს განვლილი ბრძოლის სუსტი და ძლიერი მხარეები, მისი უარყოფითი და დადებითი მომენტები და მკვიდრი საფუძველი ჩაუყაროს გამაერთიანებელი მუშაობისათვის, მომავალი ბრძოლისათვის გამზადებულ მტკიცე მოქნილ ორგანიზაციულ აპარატს. მათი წარსული მუშაობა, დაგვირგვინებული დღეს პირველი დიდი გამარჯვებით თავდებია იმის, რომ თავის უფროსი ამხანაგების ხელმძღვანელობითა და დახმარებით, შეიარაღებული შეურყეველი კლასიური შემეცნებითა და მტკიცე რევოლიუციონური ნებისყოფით კომუნისტურ პარტიასთან ერთად მიაღწევს თავის უახლოეს მიზანს ჩვენი მშრომელი მასსების გაერთიანებისას, საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო კავშირისას.

ჩვენ მივესალმებით კომუნისტური ახალგაზრდობის სრულიად კავკასიის პირველ ყრილობას და ვუსურვებთ მას ბრწყინვალე გამარჯვებას.

წერილები კოოპერაციის შესახებ

კოოპერაცია და ნედლეულობის მოგროვება.

წინა წერილში მე ვამბობდი, რომ ქვეყნის საწარმოო ძალების აწევა შეადგენს დღეს საბჭოთა ხელისუფლების მთავარ მიზანს. და ვინაიდან საქართველო წვრილი მიწადმოქმედების ქვეყანაა,—წვრილი მიწადმოქმედების განვითარება, მისი რაციონალიზაცია არის პირველი ნაბიჯი, რომელიც უნდა იქნას გადადგმული ამ მუშაობაში, რათა წვრილი მიწადმოქმედების სახით შეიქმნას ის ფონდი, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს მოვახდინოთ ქვეყნის ელექტროფიკაცია, მოგვცემს სამრეწველო მუშებისათვის სურსათის საკმაო რაოდენობას და შექმნის კმაყოფილების იმ ატმოსფერას, რომელიც იქნება საბჭოთა ხელისუფლების საუკეთესო დასაყრდენი. მიწადმოქმედების საწარმოო ძალების აღორძინება ყველაზე უკეთესად შესაძლებელია განხორციელებულ იქნას მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის და სასოფლო სამეურნეო კოოპერატივთა ამხანაგობების საერთო მუშაობით.

სასოფლო მეურნეობის ნაყოფიერების ასაწევად საჭირო იქნება მიეცეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში გაერთიანებულ გლეხობას სასოფლო-სამეურნეო იარაღების და მანქანების საკმაო რაოდენობა, რომლების შესყიდვა მოგვიხდება საზღვარ გარეთ; სად შეგვიძლია ვიშოვოთ მათი შესასყიდი თანხა?

ოქროს ფონდის იმედი არ უნდა გვქონდეს. იგი მეტად ცოტაა, და მაზე ყოველმხრივან დიდი მოთხოვნილებები არის წამოყენებული. ეს ფონდი უნდა იქნას შენახული ნამდვილად გადაუდებელ ხარჯების შემთხვევისათვის. ამ ფონდის დახარჯვაში სიფრთხილე გვმართებს. გლეხურმა მიწადმოქმედებამ თვითონ უნდა გამონახოს საშუალებანი მისთვის აუცილებელ მანქანების და იარაღების შესაძენად. გლეხობას შეუძლია ამ მანქანების და იარაღების მიღება იმ ნედლეულობის სანაცვლოდ, რომელიც მას მოეპოვება და რომლის გასაღება შეუძლია მას საზღვარ-გარეთ. საჭიროა მხოლოდ მოგროვებულ იქნას ეს ნედლეულობა—მატყლი, აბრეშუმი, ბამბა, ტყავი, ხილი, ღვინო, თამბაქო და მიეწყოს მისი საზღვარგარეთ გასაღება.

მართალია, ყველა ეს საქონელი ვერ საღდება დასავლეთ ევროპაში, მაგრამ რის გასაღება იქ ვერ მოხერხდება, შეიძლება გაგზავნილ იქმნას რუსეთში მისი სავალუტო საქონელზე (სელი და სხ.) გადასაცვლელად, რომლის მოთხოვნილება დასავლეთ ევროპაში უზრუნველყოფილია. ამგვარად შეიძლება ახლა გასაღებულ იქნას, მაგალითად საქართველოს ღვინო: ვის შეუძლია ამ ნედლეულობის, ამ სავალუტო საქონლის მოგროვება? არა თვით სასოფლო სამეურნეო კოოპერაციას, რომელიც საქართველოში თითქმის არც კი არსებობს (მენშევიკებმა დანაშაული ფუქსავატობა გამოიჩინეს სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის გამოყენების და ორგანიზაციის ფორმაში). ეს მუშაობა უნდა იკისროს მომხმარებელმა კოოპერაციამ, რომელსაც მხოლოდ გააჩნია ორგანიზაციების საკმაო ქსელი, რომლებსაც შეუძლიათ თავის თავზე აიღონ ნედლეულობის მოგროვების და იმ მანქანების და იარაღების დანაწილების საქმე, რომლებიც მიღებული იქნება ამ ნედლეულობის სამაგიეროდ.

მე მგონია, რომ ნედლეულობის მოგროვების საქმე ყველაზე უკეთესად შეიძლება განხორციელებულ იქმნას კოოპერატიული ახალი ნატურალურ პაების დაწესების გზით. კოოპერატივების მიერ შეკრეფილ წინანდელ პაებმა დაკარგეს ყოველგვარი აზრი. ეს პაები არ აღემატებოდნენ 5—10 მანეთს. რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ეხლა ამ მცირე თანხას, რომელიც მოგროვებული იყო იმ გზით და ისიც კიდევ მის ღირებულობის დაცემის დროს?

მომხმარებელი კოოპერატივების ფულის კაპიტალი, შეტანილი ფულის პაებს მოგებიდან გადარიცხულ თანხისა და სხ. შემდგარი, არასოდეს არ ყოფილა დიდი, ხოლო ეხლა, ფულის ღირებულების დაცემის გამო, მან დაკარგა ყოველგვარი მნიშვნელობა, არარად იქცა. ამავე დროს სპეკულიაციის თავდაუჭერელ ფარფაშით დღევანდელ ხანაში, მომხმარებელ კოოპერაციის მიზნები მეტად გაიზარდნენ და მომხმარებელ საზოგადოებებიდან დიდ თანხებს მოითხოვენ.

ქაღალდის ფულის ღირებულების დაცემა ჯერ კიდევ არ შეჩერებულა; ქაღალდის მანეთიანი ისევ ეცემა და ეცემა. ამიტომ თუ კოოპერატივები სატრიალებელ ფონდის შესაქმნელად შეეცდებიან ახალი ფულის პაების მოგროვებას მიმართონ, მოგროვილი ფონდი თან და თან დაკარგავს ღირებულებას და მყიდველობითი ძალას ე. ი. კოოპერატივისთვის უვარგისი, გამოუყენებელი გახდება. ამიტომ გაცილებით უფრო სასარგებლოა საბრუნებელი ფონდი მოგროვდეს წევრების მიერ როგორც შესატანი პაები, ისე ნაღდის სახით (პურით, ტყავით, მატყლით და სხ.) ნატურითვე შეუძლიათ მომხმარებელ საზოგადოების წევრებს შეიტანონ მისაბარებელი საგანგებო ავანსები და სხ. ახალი დეკრეტი მომხმარებელი კოოპერაციის შესახებ, მიღებული რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში 1920 წ. 7. აპრილს, მის უფლებას აძლევს მიიღოს ასეთი შესატანი, პაები, მისაბარებელი, ავანსები და სხ.

რაც უფრო საგრძნობი იქნება ასეთი ფონდი, მით უფრო მეტი ექნება კოოპერაციას საქონლის მარაგი, მით უფრო მეტი სამსახურის გაწევა შეეძლება მას, მომხმარებლებისათვისაც სპეკულიაციის განდევნის გზით, გლეხებისთვისაც, საბჭოთა ხელისუფლების მიერ გაცემულ ან საზღვარგარეთ შეძენილ საქონლის მათთვის მიწოდებით, მით უფრო დიდ დახმარებას აღმოუჩენს ის მათ მიწადმოქმედებას.

გლეხების მომარაგების საქმე მათი მეურნეობისათვის აუცილებელი საგნებით, უკეთესია გადაეცეს მომხმარებელ კოოპერატივებს, და არა დატვირთოთ მით სასოფლო სამეურნეო ამხანაგობები.

ეს საშუალებას მისცემს უკანასკნელთ ყველა თავისი ძალები მოახმარონ წარმოებას, სასოფლო მეურნეობას და მასთან დაკავშირებულ შინა მრეწველობის გაუმჯობესობას. მეორეს მხრივ საშუამავლო ოპერაციების თავის მოყრა მომხმარებელ საზოგადოებების ხელში ხელს შეუშლის სასოფლო სამეურნეო ამხანაგობებს, გარდაიქცნენ იმ სასოფლო-სამეურნეო კარტელებად და ტრესტებად, რომლებიც ასე საფუძვლიანად ახერხებდნენ მომხმარებელთა ექსპლოატაციას გერმანიაში, შვეიცარიაში და სხვაგან რომლებთან მომხმარებლებს უხდებოდათ მედგარი ბრძოლის წარმოება.

ამიტომ საშუამავლო ოპერაციების სწრაფი და ენერგიული განვითარება შეადგენს ერთ ძირითად მიზანთაგანს, რომლებიც წამოყენებულია ეხლა მომხმარებელ კოოპერაციის წინაშე. ამისათვის კი საჭიროა უკანასკნელმა შექმნას საკმაო სატრიალებელი ფონდი, წევრების მიერ შემოტანის საგანგებო ავანსების და სხ. მოკრეფით არა ფულის სახით, არამედ ნატურით.

ნ. მეშერიაკოვი.

კომუნისტური ახალგაზრდობის სრულიად კავკასიის პირველ ყრილობას

მხურვალე სალამი ჩვენს სიამაყეს, ჩვენს იმედს კავკასიის წითელ ახალგაზრდობას.

მუშათა და გლეხთა ვაჟები საბჭოთა კავკასიისა პირველად ერთად თავს იყრიან საბჭოთა აზერბაიჯანის დედა ქალაქში მაზუთიან პროლეტარიატის ქ. ბაქოში.

წყეული სამი წლის ეროვნული ურთიერთ მტრობისა და დევნის შემდეგ, დღეს პირველად მუშა გლეხური კავკასიის ახალგაზრდობა გამსჭვალული ერთი მეორისადმი განუსაზღვრელი სიყვარულითა და თავდადებულობით იკრიბებიან თავიანთ ყრილობაზე. დეე თქვენი ყრილობა გახდეს დიად დემონსტრაციათ მთელი მსოფლიოს წინაშე, ურთიერთშორის შურისა და მტრობის ერთხელ და სამუდამო სიკვდილისა.

თქვენ დედის რძესთან ერთად გკვებავდენ შიშით და საშინელებით, ჯერ კიდევ აკვანში გაშინებდენ თქვენ თათრისა და სომხის ხსენებით. დეე, ყველამ იცოდეს, რომ ასეთს პირობებში აღზრდილი ახალგაზრდობა საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშის ქვეშ და ჩვენი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ ამაყად შლის თავის ხსოვნიდან წყეული წარსულის ნაშთებს და თამამათ აღიარებს:

„ბოლო მოეღოს ეროვნულ შუღლს, და გაუმარჯოს განუსაზღვრელ ურთიერთშორის სიყვარულსა და ეროვნულ სოლიდარობას!

ორჯონიკიძე.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

სასურსათო გადასახადის შეკრება უკრაინაში.

ხარკოვი. 31 აგვისტო (რადიო) უკრაინის სასურსათო სახალხო კომისარიატის ცნობებით სასურსათო გადასახადი საქონლის გადაცვლის წესით შეგროვილი უკრაინის ყველა გუბერნიებში გამოიხატა შემდეგ ციფრებში: ზაპოროჟიეს გუბ. აგვისტოს 1—28-მდე შემოვიდა 37,038 ფუთი. ვოლინის გუბერ. აგვისტოს 1—15-მდე 54,800 ფუთი, დონის—აგვისტოს 1—22-მდე 89,085 ფუთი., ეკატერინოსლავის გუბ. აგვისტოს 1-20 მდე 24,695 ფუთი, ხერსონის—აგვისტოს 1—18-მდე 140,934 ფუთი, ოდესის—აგვისტოს 1 10 მდე 20,110 ფუთი, პოდოლის გუბ.—აგვისტოს 1—24 მდე 51,533 ფუთი, ხარკოვის გუბ.—აგვისტოს 1—22 მდე 42,603 ფუთი, ჩერნიგოვის—აგვისტოს 1—22 მდე 4,346 ფუთი. ამ რიგად დანიშნულ დროში სულ შეგროვილია 1,231,190 ფუთი.

ბრძოლა სიმშილობასთან

ვოლგა-კამის რაიონში.

მოსკოვი. 22 აგვისტო. „ეკონომიური ცხოვრება“ იტყობინება: ვოლგა-კამის მხარეს ეკონომიური მდგომარეობა მეტად დამაფიქრებელია. საშიშროებას წარმოადგენს არამც თუ მიმდინარე წელიწადი, არამედ შემდეგი წლებიც. მაშინაც კი თუ მიმდინარე წელიწადში ამ მხარის მცხოვრებნი გაიტანენ თავს სახელმწიფოს და საზოგადოების დახმარებით, მაინც არ უნდა დავხუჭოთ თვალები, რომ მომავალში ამ მხარის აღორძინება იქნება ძნელი და თან მოხდება ძლიერ ნელა. თუ რამდენათ არის ამ მხარის მდგომარეობა დაუკმაყოფილებელი სურსათის მხრივ, შეიძლება დავზომოთ იმით, რომ დასათესი სივრცე 1916 წლიდან 1920 წლამდე, უკანასკნელის ჩათვლით, შემცირდა 19 პროც. ამასთან ვე ანეულის შემცირება გამოიხატა 30, 5 პროც და. გაზაფხულის ნათესის შემცირება 5 პროც. ერთ სულზე მოსავალი ჯერ კიდევ 1920 წელში 1919 წელთან შედარებით გამოიხატა შემდეგ ციფრებით: ჭვავი ერთ სულზე მოდიოდა 1920 წელში 3, 2 წინააღმდეგ 15, 6 1916 წლის გაზაფხულის ნათესი 1920 წელში 1, 5 წინააღმდეგ 3, 7-16 16 წელ. კარტოფილი 1920 წელში 1, 5 წინააღმდეგ 3, 9 1916 წლისა.

სამარის გუბერნიაში.

მოსკოვი 22 აგვისტოს სამარის გუბერნიის გლეხების დიდი უმრავლესობა დაწყებული კიდევ ადრე გაზაფხულიდან იკვებება სუროგატებით. გაზაფხულზე იკვებებოდნენ რკოთი და ბალახით. დღეს კი რკო უკვე იშვიათი ფუფუნებაა. რკოს ფქვილის ფასი ბაზარზე უდრის 120.000 მან. ფუთზე, შიმშილის და საქონლის უქონლობის გამო, გლეხობა შეუბრალებლათ ანადგურებს საქონელს, რომლის ტყავსაც კი არ კარგავს. აღნიშნულია შემთხვევები, რომ მინდვრის თაგვს, კატას და ძაღლს საჭმელათ ხმარობენ. ზოგიერთი ადგილებში მცხოვრებნი სჭამენ თიხას და რაღაც უცნობ ქვასა, რომელიც ალბათ არის ტორფის მაგვარი. აი რამდენიმე სახელწოდება სუროგატიული საკვებისა: თვითონ ჩენჩო, ცხენის შეაუნა, მზესუმზირის გული, არყის ხის ქერქი, ცაცხვის ფოთოლი, სმოროდინა, ტყეს კანაფის ძირი (60.000 მან. ფუთი), თიხა რკინის უნგით, ლამი (14.000 მან. ფუთი) და სხვა. სუროგატების ხმარება იწვევს მასიურათ, კუჭის ავადმყოფობას და სიმშილით სიკვდილს. ბალაშევის მაზრაში აღნიშნულია ივლისის თვეში 38.488 შემთხვევა კუჭით ავადმყოფობისა და 309 შემთხვევა სიმშილით სიკვდილისა. სტავროპოლის ბაზარში აღრიცხულია 358 შემთხვევა სიმშილით სიკვდილისა. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის კომისიის დასკვნით ანეულის და გაზაფხულის, მთელი შემოსავალი, პურისა სამარის გუბერნიაში შეადგენს 15 მილიონ ფუთს; მოთხოვნილების მინიმუმი კი 30 300 000 ფუთს უდრის. დეფიციტი მთელი გუბერნიისა არის 15 300000 ფუთსა და 30 მილიონ ფუთს შუა: მინდვრების თავის დროზე დათესვისათვის მთელ გუბერნიას ეჭირვება 3 600.000 ფ. ანეულის თესლი. გლეხობის საქონელი ჯერ-ჯერობით კიდევ გამოდის თავის პირით, გაზაფხულისათვის საქონლის რიცხვი შემცირდება 50—60 პროც. და მაშინ კი ძლიერ გაძნელდება თესვის საქმე

— მოსკოვში მიღებულია შემდეგი ცნობები ფასების ცვალებადობის შესახებ სამარის გუბერნიაში: ქერის ფქვილი იანვარში ღირდა ფუთი 14 000 მან. აპრილში 175.000 მ ნ. ივლისში კი 300 000 მანეთი. ჭვავის ფქვილი იანვარში ღირდა ფუთი 11 ათასი მანეთი, აპრილში 160.000 მ. ივლისში 253,000 მ. ხორცი ღირდა აპრილში 160.000 მან. ივლისში 400.000 მანეთი.

რუსეთის დამხმარე მუშათა კომიტეტი.

ბერლინი, 20 აგვისტო. გაზეთი „ფრეიჰაიტი“ ბეჭდავს აბრამოვიჩის წერილს, რომელიც წინადადებას იძლევა შექმნილ იქნას, საერთაშორისო მუშათა კომიტეტი რუსეთისთვის დასახმარებლათ, ისე რომ ეს კომიტეტი ეყრდნობოდეს ცალ-ცალკე ქვეყნის მუშათა კომიტეტს. ამ კომიტეტის ამოცანათ უნდა იყოს მოწყობა რუსეთისთვის დახმარების პროფკავშირთა, პოლიტიკურ პარტიათა და კოოპერატივთა მოთხოვნილებებთან შეთანხმებით.

ამერიკის დახმარება.

ვარშავა, 20 აგვისტო. პოლონეთის მთავრობამ ნება დართო ჰუვერს, თავისუფლათ ისარგებლოს მისი რკინის გზებით, ვოლგის მხარის დამშეულთათვის სურსათის გადასაზიდათ.

ნორვეგის დახმარება

პეტროგრადი, 21 აგვისტო (დეპეშა). რეველიდან ამ დღეებში იგზავნება პირველი მატარებელი სურსათით დამშეულთათვის. ეს ხარჯი ნაყიდია ნორვეგიის დამხმარე კომიტეტის საშუალებიდან. მიღებული ცნობებით, ნორვეგიის დამხმარე კომიტეტის წარმომადგენელი რუსეთში გამოემგზავრა.

ინგლისის დახმარება

პეტროგრადი, 20 აგვისტო. (ტელეგრამ.) ინგლისის მთავრობას აზრათ აქვს დაეხმაროს რუსეთს საქონლის სახით, მის განკარგულებაში ფართო კრედიტის გახსნით.

კომინტერნის მესამე კონგრესი

(გაგრძელება იხ. „კომ.“ № 511).

სხდომა მეათე (30 ივნისი).

სხდომა იხსნება 12 საათზე და 30 წუთზე ამხ. კენენის თავმჯდომარეობით.

თავმჯდომარე სიტყვას აძლევს იტალიის სოციალისტური პარტიის დელეგატს ამხ. ლადზარის შემდეგი განცხადებისათვის:

„ძვირფასო ამხანაგებო ყველა ქვეყნისა, ჩვენ იტალიის სოციალისტური პარტიის დელეგატებს დაგვრჩენია მხოლოდ მხედველობაში მივიღოთ რეზოლიუცია, რომელიც გვეხება ჩვენ, მით უფრო, რომ ის სავსებით გამომდინარეობს ლივორნოს კონგრესის მიერ მიღებულ ბენტივოლიოს რეზოლიუციიდან.

მასთან ერთად ჩვენ, პირადათ, არ შეგვიძლიან დავფაროთ ის სამწუხარო შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა ჩვენზე მოტივიროვკის ზოგიერთმა დეტალმა, რომელიც გააკეთეთ თქვენ თქვენს დადგენილებას და რომელიც, ჩვენის აზრით, არ შეეფერება მე-2 საერთაშორისო კონგრესის შემდეგ იტალიაში შექმნილ ჭეშმარიტ მდგომარეობას. მაგრამ ჩვენ ჩვენის მხრით ყველაფერს ვიზამთ, რაც კი შესაძლებელია, რომ ჩვენი პარტიის შემდეგ ყრილობაზე მიღებულ იქნეს თქვენი დადგენილება, ვინაიდან ჩვენ სავსებით ვართ დარწმუნებული იმაში, რომ კომინტერნის სექციები უცილებლათ შეკავშირებული უნდა იყვნენ სრული რევოლიუციონური ერთგვარობის ნიადაგზე“.

ამ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ თავმჯდომარე ამბობს: „ჩვენ მხედველობაში ვიღებთ ამ განცხადებას და მოველით იტალიის კომპარტიისაგან, რომ ის ყველაფერს იზამს, რაც კი შესაძლებელია, რომ იტალიის სოციალისტურ პარტიაში შიგნით გაწმენდილ იქნეს გზა მე-III ინტერნაციონალში შესასვლელათ“.

შემდეგ თავმჯდომარე აქვეყნებს შვეციის დელეგაციის შემდეგ განცხადებას: „ამხ. ზინოვიევმა გააკეთა თავის მოხსენებაში რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა შვეციის კომპარტიის მიმართაც. მე კი მინდოდა ახლა სწორი გაშუქება მიმეცა ამ შენიშვნებისათვის. ჩვენი პარტიის ახლანდელი მდგომარეობის სწორი გაგებისათვის საჭიროა გავიხსენოთ, თუ რა პირობებში დაარსდა და ვითარდებოდა ის. ის დაარსდა მარტში 1917 წ. და პირველი გამოეთიშა ძველ სოც. დემ. პარტიას. ჩვენში არსებობდა მაშინ სამი სხვადასხვა ოპოზიციონური მიმდინარეობა, რომელიც გაერთიანდა შემდეგ შვეციის მემარცხენე სოც. დემ. პარტიაში. პირველ რიგში აღსანიშნავ მარქსისტულ რევოლიუციონურ მიმართობას, რომელიც განვითარდა უმთავრესათ ახალგაზრდობის კავშირიდან; შემდეგ ჰუმანიტურ პაციფისტურ მოძრაობას ცნობილ ქალაქის თავის ლინდჰაგენისას, რომელიც ქადაგებს ქრისტესა და ლენინს შუა და, დაბოლოს, ცენტრალისტურ მიმდინარეობას, რომელსაც მხარს უჭერს რიკსდაგის ფრაქცია. თავისთავად იგულისხმება, რომ საქმეთა ასეთ ვითარებას აუცილებლათ უნდა გამოეწვია ერთგვარი გაურკვევლობა პარტიის ხასიათის საკითხში, პროგრამასა და ტაქტიკაში. მაგრამ ამან ვერ შეუშალა მას ხელი მიეღო თავის უკანასკნელ კონგრესზე დიდი უმრავლესობით 21 პირობა. ლინდჰაგენმა ცენტრისტებთან ერთად დასტოვა პარტია და მოაწყო თავისი საკუთარი დამოუკიდებელი პარტია. ჩვენმა პარტიამაც იქვე დაირქვა „შვეციის კომუნისტური პარტიის“ სახელწოდება და მიიღო კომუნისტური პროგრამა.

ამხ. ზინოვიევს განცხადება, რომ ჩვენს პროგრამაში არაა პროლეტარიატის შეიარაღების მოთხოვნა, არ შეეფერება სინამდვილეს. ამ მოთხოვნამ მიიღო ჩვენს პარტიაში სრულიად გარკვეული გამოხატულება, და პარტიაც ამ მხრივ აწარმოებდა პროპაგანდას მასსებში, სწორეთ ისევე, როგორც რიკსდაგის ტრიბუნიდან. ამხ. ზინოვიევის შენიშვნა პარტიის მიერ დაკავებულ პოზიციის შესახებ მთავრობის კომიტეტების მიმართ მხოლოთ გაუგებრობის ნაყოფია. საქმე შემდეგშია: მთავრობა ფირმისთვის ნიშნავდა წევრებს ცალკე საპარლამენტო კომისიებში, ხოლო ნაკაზს კი, რომლის წინააღმდეგაც ილაშქრებს ამხ. ზინოვიევს, მიზნათ აქვს უზრუნველყოს პარტიის უფლება, თვითონ გამოარკვიოს, თუ ,,ვინ'' და ,,ვის' ნიშნავს პარტიის სახელით ამგვარ კომისიებში.

რაც შეეხება ჩვენს გაზეთს ,,პოლიტიკენს'', მეც ვფიქრობ, რომ მისი რედაქცია ჩადის შეცდომებს და დაუდევრობას. მაგრამ შენიშვნა, რომელიც გვესმის შვეციის დელეგაციის მხრიდან სწორეთ წინააღმდეგი თვისებისაა. მას მიაჩნია გაზეთი არა საკმარისათ საფუძვლიანათ, რომელიც ატარებს მეტის მეტად პოპულიარულ-აგიტაციურ ხასიათს.

ბრანტინგის არც ერთ ნაწერს ჩვენი პარტიის შესახებ, ჩვენის შეხედულებით, არ შეუძლია ზიანი მიაყენოს მის რეპუტაციას: წინააღმდეგ შემთხვევაში ძალიან უნდა შელახულიყო იმ ჩვენი რუსი ამხანაგების რეპუტაცია, რომლებსაც ბრანტინგის გაზეთი ყოველდღე დასცინის“.

სწორეთ ასევე ქვეყნდება ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის განცხადებაც, რომელიც ეხება იმას, რომ იმ ქვეყნების კომპარტიების დელეგატები, რომლებიც შედიან მცირე ანტანტის შემადგენლობაში, და აგრეთვე ჰუნგარეთისა და პოლონეთისა, შეიკრიბენ სპეციალურ თათბირზე დასახელებულ ქვეყნებში კომპარტიების საერთო ტაქტიკის გასარჩევათ. მცირე ანტანტა, აცხადებს ჩეხო-სლოვაკიის დელეგაცია, მიზნათ ისახავს საბჭოთა რუსეთის მოსპობას. ამ შეთქმულებაში ცდილობს ის ჩაითრიოს ჰუნგარეთიც და პოლონეთიც. აგრეთვე მცირე ანტანტის აგრესიული განზრახვები უკვე აშკარავდება მისი გალაშქრებით კომპარტიების მიმართ. ბურჟუაზიის ეს გაერთიანება მოითხოვს აგრეთვე ჩამოთვლილ ქვეყნების კომპარტიების მოქმედებათა გაერთიანებასაც და შეთანხმებასაც ტაქტიკას ყველა საკითხებში.

ეს წინადადება მიღებულ იქნა უკამათოთ. შემდეგ სიტყვა ეძლევა ამხ. რადეკს საკითხზე ტაქტიკის შესახებ.

ამხ. რადეკის მოხსენება.

თავისი ტაქტიკის გარკვევის დროს,—ამბობს ამხ. რადეკი,—კომინტერნი უნდა გამოდიოდეს თანამედროვე ეპოქის კონკრეტულ ანალიზიდან. ამიტომ კონგრესის თვით დასაწყისშივე ვცდილობდით ჩვენ ამხ. ტროცკის მოხსენებაში წარმოგვედგინა ჩვენ, რამდენათაც შესაძლებელი იყო, ამჟამათ მომქმედ ძალების ობიექტიური სურათი, რომელიც საშუალებას მოგვცემდა გადაგვეჭრა თუ რა გზით მიდის ახლა მსოფლიო რევოლიუცია: მაღლა თუ დაბლა. ვინაიდან ასევე აუცილებელია კომინტერნისათვის გარკვევით დასვას თავისი ამოცანები არა მარტო რევოლიუციის ზრდის პერიოდში, არამედ მაშინაც, რომ უკანასკნელი შეფერხებულიყო. უკანასკნელ შემთხვევაში მისი ამოცანა იქნება უკვე არაპირდაპირი მომზადება პროლეტარიატისა სამოქალაქო ომისათვის, არამედ პირველ რიგში—ორგანიზაცია და აგიტაცია მშრომელი არმიების შექმნისაკენ მომავალ ბრძოლისათვის. ამხ. ტროცკის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ახლანდელ მომენტში კაპიტალისტურ მეურნეობაში არაა შენიშნული ის ძალები, რომლებსაც მიჰყავდეს ის კონსოლიდაციისაკენ და იძლეოდეს იმის ფიქრის საბუთს, რომ რევოლიუციის განვითარებაში მოხდა გარდატეხა. თავის მოხსენებაში ამხ. ტროცკიმ აღნიშნა, რომ ჩვენ განვიცდით პროლეტარიატის ძალთა კონსოლიდაციის პერიოდს ახალ შეტაკებებისათვის, რომელთა დასაწყებათ ყველა პირობები მზადდება. მე ვფიქრობ, რომ ამ დარბაზში არავინ არ თვლის მარტოვს მსოფლიო რევოლიუციის განსაკუთრებით თვალსაჩინო თეორეტიკათ, მიუხედავათ ამისა სწორეთ იგივე მარტოვი სწერს „ფრეიჰაიტის“ მაისის ნუმერში: „კონტრ რევოლიუციის გაძლიერება, რომელიც ეჩვენება ამ ჟამათ, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ კაპიტალიზმი დასძლევს თავის წინააღმდეგობებს. პირიქით, კაპიტალიზმის უუნარობა აღადგინოს მსოფლიო მეურნეობა თუ გინდ ომის წინა მასშტაბით, უმუშევრობის სულ უფრო და უფრო პროგრესიული ზრდა სამუშაო საათებისა და ქირის შემცირება,—აი რა ახასიათებს დღევანდელ პერიოდს. ამ კრიზისმა აუცილებლათ უნდა გამოიწვიოს ახალი რევოლიუციონური ტალღა“. შევადაროთ მსოფლიო მდგომარეობის ეს დახასიათება იმას, რასაც 2 ნახევარი ინტერნაციონალი, და კერძოთ ფრიდრიხ ადლერი, უპირდაპირებს ვენის კონგრესზე კომინტერნს, ის ამბობს: „ჩვენ ვამტკიცებთ აგრეთვე, რომ რევოლიუციონური პერიოდი არ სრულდება, მაგრამ იმ დროს, როდესაც თქვენ სპეკულიაციას ეწეოდით მსოფლიო რევოლიუციის სწრაფ გამარჯვებაზე, ჩვენ, რეალური პოლიტიკები, გამოვდიოდით მსოფლიო რევოლიუციის ნელი განვითარებიდან“. მე შემიძლია ამის დასამტკიცებლათ მოვიყვანო ციტატები საკუთარი სტატიებიდან. აღვნიშნავ მხოლოთ იმას, რომ გერმანიაში ჯერ კიდევ 1919 წ. ჩვენ ჩვენი ტაქტიკის განსაზღვრის დროს გამოვდიოდით სწორეთ ნელი რევოლიუციიდან, რის გამოც აუცილებელ საჭიროთ ვთვლიდით ენერგიულ და გაბედულ ბრძოლას მოუთმენლობასთან, რომელიც ისახებოდა მარცხნივ. მე-2 კონგრესის რეზოლიუციებშიც ერთ და იგივე დროს მსოფლიო რევოლიუციის ძალების მსოფლიო რეაქციასთან შეტაკების აუცილებლობის მტკიცებასთან ერთად, ჩვენ აღვნიშნავდით ამ პროცესის ხანგრძლივ მიმდინარეობას. განსხვავება ჩვენ, ინტერნაციონალსა და 2 ნახ. შორის უმთავრესათ, იმაშია, რომ ჩვენ სრულიად სხვა წარმოდგენა გვაქვს მსოფლიო რევოლიუციის განვითარების ნელ პროცესზე. 2 ნახ. ინტერნაციონალს ესმის ეს ნელი პროცესი მშვიდობიანი და წყნარი განვითარების აზრით მანამ, სანამ არ დადგება მისი სრული მომზადებისა და მოწიფების მომენტი, როდესაც დიტმანს და ადლერს შეეძლება ექნებათ წყნარათ ავიდნენ ბარიკადებზე. ჩვენის წარმოდგენით კი მსოფლიო რევოლიუციის განვითარების პროცესი—ეს სასტიკი ბრძოლების პერიოდია, რომლის განმავლობაში პარტიას არ შეუძლია მშვიდათ და წყნარათ ელოდოს, რომლის განმავლობაში პარტიას ელის დამარცხებები და გამარჯვებები. საკმარისია გადავხედოთ დასულ პერიოდს, რომ დავინახოთ ამ ნელი განვითარების ხასიათი. 1919 წ. სასტიკი ბრძოლების შემდეგ დადგა „მშვიდობიანი განვითარების“ პერიოდი, როდესაც აჯანყებულ მასებს დაუპირდაპირეს თეთრი ტერორი, პარტიები ჯერ ქვეშ ჩაყარეს, და მასები კი ემზადებოდნენ ახალ შეტაკებისათვის.

რევოლიუციის პროცესი დასავლეთ ევროპაში მხოლოთ იწყება. მაგრამ იქაც კომუნისტები არ უნდა უცდიდენ მშვიდათ ამბების მსვლელობას, და უნდა ემზადებოდნენ შეტაკებებისათვის. შემცდარია კომინტერნიდან ზოგიერთი ამხანაგების შეხედულებები, მაგალითად, ამხ. შმერალის, რომელიც აცხადებს, რომ აშკარა ბრძოლების პერიოდი დასრულდა და ჩვენ უნდა გადავიდეთ პოზიციურ ბრძოლისაკენ. ყალბია ეს შეხედულება იმიტომ, რომ ჩვენ განვიცდით არა აშკარა შეტაკების შეწყვეტას, არამედ პროლეტარიატის არმიების შედგენის პერიოდს, მტრის თავდასხმას არმიებზე, რომლებიც ესესაა დგება.

2 ნახევარი ინტერნაციონალი ოფლში იწურებოდა და მობილიზაცია უყო ყველა თავის გონიერ თავებს იმისთვის, რომ კომინტერნის პროგრამისთვის დაეპირდაპირებია თავისი სრულიად ახალი პროგრამა. მათ პირველათ ყოვლისა განაცხადეს, რომ კომინტერნი ცდილობს დააწესოს ყველასათვის რუსეთის შაბლონის: პროლეტარიატის დიქტატურა და საბჭოთა სისტემა: „დასავლეთ ევროპაში,—ამბობენ ისინი,—დასავლეთი ევროპა, როგორც იცით იწყება იქ, სადაც არიან მენშევიკები,—საჭიროა სხვა პროგრამა.“ და აი რა შედარებამდე მივიდნენ ისინი.

ამხ. რადეკი აქვეყნებს 2 ნახევ. ინტერნაციონალის ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლიუციას. ამ რეზოლიუციაში,—ამბობს ამხ. რადეკი,—ირკვევა ორი შესაძლებლობა: ერთი, როდესაც პროლეტარიატმა უნდა სძლიოს ბურჟუაზიის წინააღმდეგობა, და მეორე, როდესაც ბურჟუაზია არავითარ წინააღმდეგობას არ უწევს თავისი არმიის დახმარებით. რაც შეეხება მეორე შემთხვევას, რასაკვირველია კომინტერნი არ შეიჭრება ლაკარებში და არ იხმარს ძალდატანებას მტრის მიმართ, რომელიც იარაღს ყრის სულ პატარა წინააღმდეგობასაც კი. პირველ შემთხვევაში კი, ამბობს 2½ ინტერნაციონალი, პროლეტარიატმა ბურჟუაზიის წინააღმდეგობის მოსატეხათ უნდა დააწესოს თავისი დიქტატურა საბჭოების ფორმით თუ პროფკავშირებისა და სხვა პროლეტარულ ორგანიზაციების ბაზისზე. რომელ პროლეტარულ ორგანიზაციებზეა ლაპარაკი იქ? პარტიაზე?,—მაგრამ 2 ნახევ ინტერნაციონალი ხომ პარტიის დიქტატურის წინააღმდეგია. რადგანაც მომხმარებელ კოოპერატივები ანგარიშში არ შედიან, გვრჩება მხოლოდ პროფკავშირები და მუშათა დეპუტატების საბჭოები. რაც შეეხება პროფკავშირებს ისინი არ შეიძლება გახდნენ ხელისუფლების ორგანოებათ მანამ, სანამ არ მოეწყობიან ცენტრში და ადგილობრივათ, როგორც პროლეტარიატის წარმომადგენლობა, ე. ი. როგორც საბჭოები. მაშ რა რჩება? საბჭოები. მაშასადამე, იმისთვის იყო საჭირო ახალი პროგრამების გამოგონება, რომ ბოლოს და ბოლოს საბჭოთა სისტემამდე მისულიყვენ.

(შემდეგი იქნება)

კაპიტალიზმის სამეფოებში

ინგლისი

დიდი ბრიტანეთის მცხოვრებნი.

ლონდონი 21 აგვის. აღწერის წინასწარი ცნობებიდან სჩანს, რომ ინგლისში, შოტლანდიაში და უელსში მცხოვრებთა რიცხვი შეადგენს 42 767580, მათ რიცხვში 20 420,728 მამაკაცია და 22,337,907 დედაკაცი. ამგვარად 1911 წლიდან ბრიტანეთის მცხოვრებთა რიცხვი 2 მილიონით გადიდებულა. ხოლო რიცხვათ ეს მომატება წინა წლებზე ორჯერ ნაკლებია. აღწერის ცნობებიდან სჩანს სიკვდილიანობის მნიშვნელოვანი გადიდება ომიანობის დროს და დაბადების შემცირება 1915—1918 წლებში. ამ წლებში დაბადებამ 25 პროც. დაიწია თავის ნორმაზე.

ომის დასრულების შემდეგ დაბადების რიცხვმა ხელახლა იმატა, რომელმაც მიიყვანა ბუნებრივ გადიდებამდე მცხოვრებთა რიცხვისა. ამასთან აღნიშნულია, რომ ქალთა რიცხვი უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში საგრძნობლად მატულობს ვაჟების რიცხვზე. მამაკაცთა რიცხვი გადიდებულია 576,176 კაცით და ქალების კი 1,250 958 კაცით ლონდონის მცხოვრებთა რიცხვი უკანასკნელ 10 წელს 4 პროც. გაიზარდა. ამ ჟამად ის აღწევს 7 ნახ. მილიონს.

ინგლისის მთავრობის განცხადება.

ნაუენი. 2 სექტ. (რადიო). ინგლისის მთავრობამ განაცხადა, რომ 1 სექტემბრიდან ის სთვლის მსოფლიო ომს დასრულებულათ.

ინგლისის კაპიტალმა დაუთმო.

მოსკოვი. 3 სექტ. (რადიო). მრავალ წარმოების პროფ. კავშირების იძულებით სექტემბრიდან მუშების ხელფასი შეთანხმებული უნდა იყოს ცხოვრების მინიმუმთან. ეს შეეხება 2,75 მილ. მუშას.

ირლანდია

ინგლის-ირლანდიის დამოკიდებულება

ლონდონი. (რადიო) ირლანდიის პრეზიდენტმა დე ვალერამ ლლოიდ ჯორჯს ირლანდიის პარლამენტის სახელით შემდეგი შეთანხმების ფორმა წარუდგინა. იქმნება გაერთიანებული ინგლის-ირლანდიის სამეფო, რომელშიაც ირლანდიას ექნება ისეთივე უფლება, როგორც ინგლისს. მოლაპარაკების შესაძლებლობა არ არის უარყოფილი. საკითხი მახლობელ დღეებში გადაწყდება.

სისხლიანი არეულობა ირლანდიაში.

განოვერი. 31 აგვ. (რადიო) ლონდონში ბელფასტიდან მიღებულ ცნობებით, იქ მოხდა სისხლიანი არეულობა, რომლის ჩასაქრობლად ჯარი უძლური გამოდგა. ამასგარდა ირლანდიაში მდგომარეობა გამწვავდა ჩრდილოეთში რკინისგზელების გაფიცვის გამო. დაკავებულმა 450 სინფეინერმა ინგლისის მთავრობას განუცხადა, რომ სამშაბათიდან ისინი გამოაცხადებენ სიმშილს.

ფინეთი

ბოლშევიკებს ეძებენ

მოსკოვი. 3 სექტ. (რადიო) ფინეთის პოლიცია რუსის ბოლშევიკებს დაეძებს. ფინეთის მელითონეთა კავშირიდან ფინეთიდან გაძევებულია მდივანი, და კავშირის გამგეობის წევრები. ფინელნი ბოლშევიკები არ არიან.

გერმანია.

სიონისტების კონგრესი.

ნაუენი. 2 სექტემბერი. (რადიო) კარლსბადში მოწვეულია მე-12 კონგრესი სიონისტებისა. ყოველმხრიდან მოდიან დელეგატები.

მდგომარეობა გერმანიაში.

ნაუენი. 2 სექტემბერი. (რადიო). მთელ გერმანიაში ხდება მასსიური დემონსტრაცია მიმართული რეაქციონერთა წინააღმდეგ. ვილჰემის ყოფილი რეზიდენციის სასახლის წინ ბერლინში ნახევარ მილიონმა ბრბომ მოახდინა გრანდიოზული დემონსტრაცია. ორატორებათ გამოვიდნენ ორთავე სოციალისტური პარტიის წარმომადგენლები, დამოუკიდებელთა, ცენტრის და მუშათა ორგანიზაციებისა მუშათა გაწრთვნილობის წყალობით დემონსტრაციის დროს არავითარი ინციდენტი არ მომხდარა, მსგავსი დემონსტრაციები მოხდა პოზდამში, კარლსრუეში, მანჰეიმში, კილში და სხვა ადგილებში. მემარცხენე პრესა აცხადებს ამ გრანდიოზულ სახალხო დემონსტრაციას უმნიშვნელოს რამოდენიმე ათასი კაცის დემონსტრაციის მოხდენილს რეაქციონერების მიერ წასულ კვირას ბერლინში.

ბერლინი, 2 სექტემბერი (რადიო). პოლიციის უფროსის მიერ აკრძალულია ყოველ გვარი სახალხო ზეიმი ბერლინში სედანის დღისათვის, იმ განზრახვით, რომ მონარქისტები ისარგებლებენ არეულობის გამოსაწვევად და დაარღვევენ შინაურ წესრიგს.

პოლონეთი.

გაფიცვა პოლონეთში.

ვარშავა. 20 აგვ. პოლონეთში უკვე ორი კვირის განმავლობაში სწარმოებს მელითონეთა გაფიცვა რომელიც ემუქრება ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობას. გაფიცვა გადავიდა ლოძზე და ვარშავაზე.

უნგრეთი

არეულობა დასავლეთ უნგრეთში.

ვენა, 2 სექ. (რადიო). დასავლეთ უნგრეთში გრძელდება არეულობა, რომელიც გამოწვეულია მცხოვრებლების სურვილით ავსტრიასთან შესაერთებლათ. შეიძლება ანტანტას მოუხდეს დასავლეთ უნგრეთის ავსტრიასთან შეერთების საკითხის გადასინჯვა.

ინდოეთი.

მდგომარეობა ინდოეთში.

რომი. 2 სექტემბერი (რადიო). ინგლისის მთავრობამ უფრო აღელვებულ ინდოეთის რაიონებში გამოაცხადა სამხედრო წესი.

ამბოხება ინდოეთში.

ლიონი. 3 აგვისტო (რადიო). მალაბარის პროვინციაში უკვე გაგზავნილია ჯარის საკმარისი რიცხვი ადგილობრივ მცხოვრებთა ამბოხების ჩასაქრობლად. ჯარის იძულებით მრავალი მეამბოხენი გარბიან მთაში. ცუმპატუმთან შეტაკების დროს მოკლულია 400 ადგილობრივი მცხოვრები, ოფიციალური ცნობით არეულობა გამოიწვია მთავრობის რამდენიმე ადგილობრივი მცხოვრებთა დაპატიმრების ცდამ, რომელნიც მოუწოდებდნენ ამბოხებისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. წითელი ახალგაზრდობის ფურცელი № 21

ორგანო საქართველოს ახალგ. კომუნ. კავშირის ცენტრალური და თბილისის კომიტეტისა

საქართველოს წითელ ახალგაზრდობას

ამხანაგებო, ახალგაზრდა მუშებო და გლეხებო! თქვენდამი არის მომართული ჩვენი მოწოდება, ჩვენი ძახილი.

ახალგაზრდობა, იყო ყოველთვის რევოლიუციონური, რის დასამტკიცებელია მრავალი ფაქტები ისტორიიდან. მოვიგონოთ თუ გინდა უკანასკნელი მსოფლიო იმპერიალისტური ომი. ამ საზიზღარი ხოცვა ჟლეტის დაწყებისას ყველა ქვეყნის სოციალდემოკრატების ბელადები აყვენ თავიანთ ბურჟუაზიულ მთავრობებს და ჩააბეს მუშები უსაშინელეს ომში. ამ ომს ისინი ამართლებდენ სამშობლოს დაცვის ინტერესებით და სხვა. ამრიგად ევროპიელი მენშევიკები მსოფლიო ომის ხანაში გამოვიდენ მუშათა კლასის აშკარა მოღალატეებით და გადავიდენ ბურჟუა კაპიტალისტების მხარეზე. მიყუჩებული იყო რევოლიუციონური მოძრაობის მაჯის ცემა, აღარ ისმოდა პროტესტი უკმაყოფილების ამ ომის წინააღმდეგ. მაგრამ თავიდანვე სულ სხვა გზას დაადგა რევოლუც. ახალგაზრდობა. მან დაიწყო აგიტაცია-პროპაგანდა ომის საწინააღმდეგოთ, გამოუცხადა რა ომს ომი. პროლეტარული ახალგაზრდობა არ უშინდებოდა არავითარ დაბრკოლებებს და საფრთხეს, რომ გაეძლიერებინა ომის საწინააღმდეგო მოძრაობა. და აი სწორეთ ერთად ერთი ხმა, რომელიც თავიდანვე მრისხანედ გაისმოდა მსოფლიოში უმაგალითო იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ეს იყო პროლეტარიატი ახალგაზრდობის ხმა. ბევრი ამხანაგები დაეცა ამ ბრძოლაში, ბევრი დევნილი და დატუსაღებულ იქნა. მაგრამ მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ყოველი საათობით და წუთობით ძლიერდებოდა რევოლ. მოძრაობა. 1915 წ. ქ. ბერნში შეკრებილმა პროლეტარული ახალგაზრდობის წარმომადგენელმა დაადგინეს შემოიღონ ერთი საერთაშორისო დღესასწაული მსოფლიოს მუშათა ახალგაზრდობისა 4 სექტემბრის ასეთი დადგენილების შემდეგ ამ დღეს ყოველთვის გამოდიოდენ ქუჩებში ახალგაზრდა მუშები წითელი დროშებით, რევოლ. სიმღერებით და მოუწოდებდენ მშრომელ ხალხს განთავისუფლებისაკენ და ბურჟუაზიის საწინააღმდეგოთ დარაზმვისაკენ. წელს ჩვენ ვდღესასწაულობთ ამ დღეს 4 სექტემბერს—კვირას. ამრიგათ დღეს საქართველოს მშრომელი ახალგაზრდობაც გამოვა ქუჩებში და თავის გრძნობას გამოუცხადებს თავის დასავლეთ ევროპიელ ამხანაგებს, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულან კაპიტალიზმის მძიმე უღლისაგან.

ამხანაგებო! 4 სექტემბერს ჩვენ უნდა მივსცეთ მეორე, უფრო დიდი მნიშვნელობა. თქვენ იცით რომ რუსეთში ვოლგის ნაპირების 11 გუბერნიის მცხოვრებნი დაიმშა. აღშფოთებულია მთელი რუსეთი და მთელი მუშები. ყველანი აწვდიან იმათ დახმარებას. საქართველოს მშრომელმა ახალგაზრდობამ ამ დღეს უნდა დაამტკიცოს საქმით, თუ რამდენათ ღვივის მის გულში რევოლიუციონური ნაპერწკალი, რამდენათ შეუძლია მას თანაგრძნობის გაწევა გაჭირვებაში ჩავარდნილ ამხანაგებისათვის. ამრიგათ, ამხანაგებო, კომუნისტური კავშირი გიხმობთ თქვენ ახალგაზრდა პროლეტარებს და გლეხებს ამ დღეს ქუჩებში: მოაწყვეთ ყოველგან მიტინგები, კრებები, აუხსენით ხალხს ოთხი სექტემბრის მნიშვნელობა და პროლეტარული დახმარების საჭიროება დამშეულთათვის.

4 სექტემბერი—ეს მუშათა ახალგაზრდობის ბრწყინვალე დღესასწაულია. 4 სექტემბერი არის თვე კლასიური ბრძოლისა კაპიტალიზმის სამეფოებში მუშათა საბოლოო გამარჯვებისათვის!

4 სექტემბერი მუშათა რესპუბლიკებში არის დღე, ამ რესპუბლიკების გამაგრებისა და განმტკიცებისა.

4 სექტემბერი ის დღე როდესაც ჩვენ გავუწევთ დახმარებას ვოლგის დამშეულებს!

გაუმარჯოს ოთხ სექტემბერს!

გაუმარჯოს ახალგ. კომ. ინტერნაციონალს!

საქ. ახ. კომ. კავშირის ცენტრალური კომიტეტი.

ოთხი სექტემბერი

დღევანდელ ჩვენს ფურცლის ნომერში იბეჭდება მოწოდება 4 სექტემბრის მნიშვნელობის შესახებ, რომელსაც დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს მთელმა კომუნისტურმა ახალგაზრდობამ და მხურვალე მონაწილეობა მიიღოს მის ჩატარებაში.

აგერ უკვე რამოდენიმე წელიწადია კომუნისტური ახალგაზრდობა მთელი ქვეყნისა დღესასწაულობს ამ დიად ახალგაზრდობის უქმესა და ჩვენც საქართველოს ახალგაზრდობაც მათთან ერთად ვდღესასწაულობთ მას.

4 სექტემბერი არის ახალგაზრდობის ინტერნაციონალის დღე.

მთელი დიდი აზრი ამ დღესასწაულისა, რომელიც როდესაც დაიწესა ახალგაზრდობის ინტერნაციონალის კონგრესმა, იყო ბრძოლა მილიტარიზმის წინააღმდეგ. როდესაც დაიწყო ყაჩაღური ომი, ბურჟუაზიულ სახელმწიფოების შორის „სამშობლოს დაცვის" სახელით და მთელმა სოც. დემოკრატიულმა პარტიამ მხარი დაუჭირა მას თავის ნაციონალური ბურჟუაზიის საკეთილდღეოთ, მაშინ კომუნისტური ახალგაზრდობა მიხვდა ყოველივე იმ უსამართლობას, რომელსაც აწარმოებდენ ბურჟუაზიული სახელმწიფოები თავიანთ ჯიბეების გასასქელებლად. ხმა აიღო მათ წინააღმდეგ და გამოვიდა ლოზუნგით: „ძირს ომი"! აწყობდენ დემონსტრაციებს მთავრობის წინააღმდეგ და ომის შეწყვეტისათვის, რის გულისათვის მრავალი ჩვენი მოწინავე ამხანაგები დაიღუპნენ.

ფაქტიურად ამ დღესასწაულს ჩვენ საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობა მეორეჯერ ვდღესასწაულობთ და ეხლა კი ჩვენ მას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ. აქედენ ხანს თუ ჩვენ ომის და იმპერიალისტების საწინააღმდეგო ლოზუნგებით გამოვდიოდით, დღეს ჩვენი უმთავრესი მიზანია მივაქციოთ ყურადღება პოვოლჟიის ჩვენს მოძმე ახალგაზრდობას და ძმური ხელი გაუწოდოთ იმათ, რომლებიც აუტანელ შიმშილს განიცდიან და გაუწიოთ მათ ყოველმხრივი დახმარება. გამოვიდეთ ქუჩებში წითელი დროშებით ხელში და ყველას გავაცნოთ სადღესასწაულო ლოზუნგები: „ბრძოლა შიმშილის წინააღმდეგ" და „ჩვენი მოძმე ამხანაგების დახმარება". ამითი გავუწევთ ჩვენს მოძმე ამხანაგებს საჭირო დახმარებას და რამოდენიმეთ შევუმსუბუქებთ იმ მდგომარეობას, რომელშიაც ისინი დღეს იმყოფებიან.

გაუმარჯოს საერთაშორისო ახალგაზრდობის დღესასწაულს—4 სექტემბერს.

გაუმარჯოს ახალგაზრდობის ინტერნაციონალს.

ც.

პირველი ლეგალური ყრილობა საქ. ახალგ. კომ. კავშირისა

1921 წ. 21 აგვისტოს გაიხსნა პირველი ლეგალური ყრილობა საქ. ახალგ. კომ. კავშირისა ქ. ტფილისში. ყრილობა ცენ. კომიტეტის სახელით გახსნა ამხ. ბ. ძნელაძემ და მიესალმება მას. მან მოაგონა ყრილობას, თუ როგორ გარეკეს შარშან მენშევიკებმა „პირველი ლეგალური ყრილობა", მიუხედავათ იმისა, რომ ის მათ მიერ ნებადართული იყო. იგონებს აგრეთვე ახალგ. მარქსისტების ყრილობას, რომელსაც ნება დართო საქ. რევოლიუციონურმა კომიტეტმა და საშუალებაც მისცა მათ მისი ჩატარებისა და მოიქცა არა ისე და არ გარეკა ის, როგორაც ეს ბ-ნ მენშევიკებმა ჩაიდინეს. შემდეგ წარმოთქმულ იქნა მისასალმებელი სიტყვები, საქ. კ. პ. ც. კ.; რ. კ. ც. პ. კ.; წითელი არმიის, რ. ა. კ. კ. ც. კ. და სხვა მრავალი წარმომადგენლების მიერ, რომლებმაც აღნიშნეს უმთავრესად ის მძიმე პოლიტიკური პირობები, რომელშიაც უხდებოდა მუშაობა არალეგალურათ საქ. ახალგ. კომ. კავშირს. შემდეგ სიტყვა მიეცა მოხსენებისათვის—„საერთაშორისო მდგომარეობა საბჭოთა რესპუბლიკებისა"—ამხ. ორჯონიკიძეს, რომელმაც სავსებით განმარტა საბჭოთა მთავრობების მდგომარეობა და მათი დამოკიდებულება ურთიერთშორის. შემდეგ გაირჩა ყველა დანარჩენი საკითხები, რომლებსაც დიდის ინტერესით მოეკიდენ წარმომადგენლები და დიდ აქტიური მონაწილეობაც მიიღეს ყველა საკითხების გარჩევაში. განსაკუთრებით დიდი ყურადღება იქნა მიქცეული სექციათა მუშაობაზე, რომელზედაც არის დამოკიდებული მომავალი ჩვენი მუშაობა კავშირის განმტკიცება. დასასრულ არჩეულ იქნა წარმომადგენლები კავკასიის ყრილობაზე მონაწილეობის მისაღებათ და ახალი ცენტრალური კომიტეტი, რომელშიაც შევიდა ყველა ჩვენი აქტიური მომუშავე ამხანაგები.

ც.

რეზ. მიღ. საქ. ახალგ. კომ-კავშ 1-ლ ლეგალურ ყრილობაზე ამხ. ორჯონიკიძის მოხსენების შესახებ

„მოვისმინეთ, რა მოხსენება ამხ. ორჯონიკიძისა, საერთაშორისო მდგომარეობაზე და საბჭოთა რესპუბლიკების შესახებ საქართველოს ახალგაზრდ. თა კომ. კავშირის პირველი ლეგალური ყრილობა აღნიშნავს, რომ ბრძოლა, რომელიც სწარმოებს დღეს მთელ მსოფლიოში შრომისა და კაპიტალის შორის, თანდათან უახლოვდება გადამწყვეტ, უკანასკნელ წერტილს, რის აუცილებელი შედეგი იქნება პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება. ამასთან ვაღიარებთ ერთად, რომ რევოლიუციის გამარჯვება რაც უფრო ძლიერი მოახლოვდება მით უფრო იქნება ჩვენი რევოლიუციონური კერა,—საბჭოთა რუსეთი.

მხურვალედ მოუწოდებთ საქართველოს მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობას—შემოიკრიბოთ მთელი ჩვენი ძალები, რომ გავამაგროთ საბჭოთა მთავრობა საქართველოში. პირველი ლეგალური ყრილობა საქართველოს წითელი ახალგაზრდობისა, მოუწოდებს მთელ რევოლიუციონურ მშრომელ ახალგაზრდობას, შესწიროს მთელი თავისი ენერგია ნაციონალიზმთან ბრძოლას, რომელიც არის ერთად ერთი ფაქტორი კავკასიის გათიშულ ერების გაერთიანებისა და საბჭოთა მთავრობის გამარჯვების საქმეში.

სადღესო ლოზუნგები: შეუპოვარი ბრძოლა მეურნეობის მნგრეველს და ნაციონალიზმთან ბრძოლა. საერთო მუშაობა კომუნისტურ პარტიასთან საბჭოთა ძალაუფლების გამაგრებისთვის.

გაუმარჯოს ყველა საბჭოთა რესპუბლიკების და მშრომელთა ძმურ კავშირს.

საბჭოთა აზერბეიჯანში

დახმარება დამშეულთ.

მისაბაძი მაგალითი.

გაზაფხულზე აგდაშის სამაზრო კომიტეტმა მოაწყო ახალგაზრდობის კომუნა, რომელთა მიერ დათესილი იქმნა 60 ფუთი ხორბალი და 5 ფუთი ბრინჯი. დამშეულთა დახმარების ც. კ. მიიღო დეპეშა, რომ—კომუნას დაუდგენია გადაეცეს მთელი მოსავალი ვოლგის მხარის დამშეულ მცხოვრებლებს.

აგდაშელები ირჩევიან.

აგდაშის სამაზრო მდივნების თათბირზე (რომლებიც იყვენ წარმომადგენლები 63 იაჩეიკისა) დაადგინეს, რომ შეკრებილ იქნეს დამშეულთა სასარგებლოდ თითო ურემი თივა და ბზე; აგრეთვე თვითეულ წევრმა შესწიროს 20 გირ. ხორბალი და 20 გირ ქერი. შეკრება მიმდინარეობს წარმატებით.

ქალაქის საინსტრუქციო კოლეგიამ მოისმინა რა მოხსენება ვოლგის მხარის დამშეულ მცხოვრებლების შესახებ დაადგინა: გადაცემულ იქნას ნახევარი თვის ჯამაგირი და ნაწილი თვისი ულუფისა დამშეულთათვის. დაევალოს აგრეთვე ამის შესრულება ქალ. ყველა რაიონულ იაჩეიკებს. ბაილოვის რაიონის საინსტრუქციო კოლეგიამ მოისმინა რა დამშეულების შესახებ მოხსენება, დაადგინა გაატაროს ყველა იაჩეიკებში, ფულის და სურსათის მოკრება დამშეულთა სასარგებლოდ. მოუწოდონ აგრეთვე ასე მოიქცენ უპარტიო ახალგაზრდობა.

კომკავშირის იაჩეიკამ ყოფილ „ლიანოზოვის" ქარხნის კომკავშირის იაჩეიკამ, თავის სხდომაზე 27 ივლისს მიიღო რა მხედველობაში ის საშინელი მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფება ეხლა ვოლგის მხარის მცხოვრებნი, გამოიტანა შემდეგი დადგენილება: იმუშაონ ერთი თვის განმავლობაში ზედმეტი ყოველ დღე ორი საათი, და ამ ორი საათის განმავლობაში შექმნილი ღირებულება, გადაეცეს საბჭ. რუსეთის, დამშეულ მოძმეებს.

ამასთან ერთად ისინი მოუწოდებენ აგრეთვე, სხვა დანარჩენ ქარხნების იაჩეიკებსაც გამოეხმაურონ მათ და ასევე დახმარე ხელი გაუწოდონ ვოლგის მხრის დამშეულ მცხოვრებთ.

ქრონიკა

თბილისის ყველა რაიონებში. კვირას 4 სექტემბერს გაიმართება მიტინგ-კონცერტები. მოხსენებები იქნება გაკეთებული 4 სექტემბრის მნიშვნელობაზე.

◆ **ყველა სამაზრო კომიტეტებს** ს. ა. კ. ე. ცენტრალური კომიტეტი საქ. ახალგ. კომ. კავშირის, მოგმართავთ ყველა სამაზრო კომიტეტებს, რომ მათი დადგენილების თანახმად სექტემბრის ნახევარი ჯამაგირი უნდა იქნეს გადადებული პოვოლჟიის დამშეულთა სასარგებლოდ.

◆ **ამხ. ი. გოცირიძის თავის უფლებებში აღდგენა.** იქონია რა მსჯელობა საქ. ახალ. კომ. კავშირის ცენტ. კომიტეტმა ამხ. ი. გოცირიძეს შესახებ, რომელიც იყო გამორიცხული კავშირიდან ქუთაისის რაიკომის მიერ, ყველა იმ საბუთებზე, რომლებიც იქნა წარმოდგენილი ქუთაისის რაიკომის მიერ ჩათვალა გამორიცხვა წვრილმანათ და უსაბუთოთ. ამისათვის ამხ ი. გოცირიძე იქნა აღდგენილი თავის უფლებებში და კავშირში დატოვებული.

ს. პ. კ. კ. ცენ. კომიტეტი.

რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულების რატიფიკაცია

თბილისი. 2 სექტ. ამა წლის მარტის 12-ს მოსკოვში დადებულ რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულების რატიფიკაცია უკვე მოხდა ორივე მთავრობისაგან. მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა სრულ. აღ. რუსეთის ცენტრ. აღმას. კომიტეტის წევრი ამხ. კუზნეცოვი, რომელიც გაემგზავრა ყარსში რატიფიკაციების ფირმანების გადასაცვლელათ.

ამერიკა-იაპონიის დამოკიდებულება.

ნაუენი, 2 სექტ. (რადიო) ამერიკასა და იაპონიას შორის შეთანხმება მოხდა წყნარი ოკეანის სადაო კუნძულის საკითხზე ამ შეთანხმების ძალით ყველა ხალხს უფლება აქვს იქონიოს ამ კუნძულზე თავისი რადიო ტელეგრაფის სადგურები. ამერიკის განკარგულების ქვეშ გადადის გერმანიის ყოფილი სადგური. ორი სხვა სადგური რჩება წინანდელ მფლობელთა განკარგულებაში ამ უკანასკნელზე ფორტიფიკაციული მუშაობის საკითხი განხილული იქნება ვაშინგტონში, განიარაღების კონფერენციაზე.

ვაშინგტონის კონფერენცია და საბჭოთა რუსეთი.

ნაუენი 11 აგვის. (რადიო). მოელიან პროგრამის შეცვლას ვაშინგტონის კონფერენციის ხასიათისა და შემადგენლობისა, დაინტერესებული ქვეყნების საჭირო წარმომადგენლების დამატების შესახებ. წამოყენებულია საკითხი საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელთა სავალდებულო დასწრებაზე, ამის მომხრეთ გამოდიან ინგლისი და რამდენიმე გავლენიანი წრენი ამერიკისა. საფიქრო რომ იაპონია წინააღუდგეს. რუსეთთან შეთანხმების მომხრენი აღნიშნავენ, რომ არდაწვევა საბჭოთა რუსეთისა კონფერენციაზე იმის მაჩვენებელი იქნება, რომ დიდი სახელმწიფოებს არა სურთ ანგარიშის გაწევა რუსის ხალხის მისწრაფებებისათვის. იმ ხალხს, რომელიც შეიძლება დროებით დაძლეულ იქნას, მაგრამ ურომლისოდ მტკიცე ზავის მიღწევა შეუძლებელია.

საბერძნეთ-ოსმალეთის ფრონტზე

რომი, 2 სექტემბერი (რადიო). ანგორის ცნობებით ბერძნები, შვიდი დღის სასტიკ ბრძოლის შემდეგ, იძულებული იყვნენ დაეხიათ. მიღებული ცნობების თანახმად ანგორის მთავრობამ გამოაცხადა საყოველთაო მობილიზაცია.

ანგორასთან

კონსტანტინეპოლი, 26 აგვისტო „[illegible]"-ი იტყობინება, რომ ოსმალები დიდ წინააღმდეგობას უწევენ ბერძნების შეტევას ანგორაზე. სახარიასთან ოსმალებმა უკუ აგდეს ბერძნები და დაიბრუნეს თავისი დაკარგული პოზიციები უკან.

ანგორის ევაკუაცია არ მოხდება.

კონსტანტინეპოლი. 26 აგვისტო. იტყობინებიან, რომ თუმცა ბერძნები გადავიდენ საერთო შეტევაზე, მაგრამ ქემალისტების შეუპოვრობამ იძულებული გახადა უკან დაეხიათ. ოსმალეთის წრეები იტყობინებიან, რომ ანგორის ევაკუაცია არ მოხდება. ოსმალეთის დიდმა ნაციონალურმა ყრილობამ გადასწყვიტა, დაიცვას ანგორა ყველა თავისი ძალით და ამიტომ ამაგრებენ ქალაქს ოთხივე მხრით.

ქრონიკა

◆ **მხატვარ ფიროსმანაშვილის ნაწარმოებნი.** კომისიამ, რომელიც იყო შემდგარი იმ საკითხის გამოსარკვევათ, თუ რომელი ნაწარმოებნი მხატვარ ფიროსმანიშვილისა სასურველია შეძენილ იქმნას მუზეუმისათვის, გამოარკვია შემდეგი: 1918 წ. მხატვარ ფიროსმანიშვილის ნაწარმოებნი შეძენილ იყო სპეციალურ კომისიის მიერ. მთავრობის ხარჯზე და შეძენილ იქმნა მთელი რიგი ნაწარმოებთა. ამ ჟამათ მუზეუმს აქვს 50 მდე სურათი, რომლიდანაც 20 შეიძლება ჩაითვალოს მის საუკეთესო ნაწარმოებათ. ზოგიერთ ღვინის სარდაფებში ფიროსმანიშვილი ხატავდა პირდაპირ კედლებზე, ეს ნაშრომები ნაწილობრივ შენახულია, ამისთვის სასურველია გადაღებულ იქნენ დღეს ეს სურათები მანიფოგრაფიის საშუალებით.

◆ **ს. ს. ს. რ. შრომის ფრონტის პირველი გმირები.** საქართველოს პროფკავშირების საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა ჩაწეროს წითელ დაფაზე და განსაკუთრებული ნატურით პრემია მიეცეს საქართველოს ს. ს. რ. შრომის ფრონტის პირველ გმირებს მელიტონე ამხ. მადრეკილიძეს და სახალხო კავშირის მუშაკებს ამხ. რეშს, კუდინოვს, დევასს და დანჩენკოს მათი თავგანწირულ და სამაგალითო შესრულებულ მუშაობისათვის, რომელიც უხდებოდათ მეტად მძიმე მატერიალურ და სასურსათო პირობებში.

◆ **მუშათა კოოპერატივი.** მთლიანი მუშათა კოოპერატივის გამგეობა მოთავსებულია ყოფილ ქალაქის სასურსათო კომიტეტის შენობაში—კირკის ქუჩა № 7. მე 2 და მე 3 სართულში. ტელეფონი №№ 8 და 12.

◆ **პროფსკოლა.** 2 სექტემბრიდან პარტსკოლასთან იხსნება პროფსექცია პროფმოძრაობის ინსტრუქტორების მოსამზადებლად—100 კაცისათვის, მათგან თბილისს მიკუთვნებული აქვს 44 ადგილი, ბათომს—9, ფოთს—7, ქუთაისს—10, დანარჩენი ადგილები პროვინციის სხვა კუთხეებს. მეცადინეობა იწარმოებს ქართულ ენაზე.

◆ **გემი „ბრიანი".** სექტემბრის შუარიცხვებში ბათომში მოვა გერმანიის გემი „ბრიანი", რომელიც წაიყვანს სამხედრო ტყვეებს და სხვა მგზავრებს. ბათომიდან „ბრიანი" გაემგზავრება ტრიესტში.

◆ **რაიონული კლუბი თბ. ქალ. მილიციისა.** კვირას, 4 ენკენისთვეს კლუბის დარბაზში ლექტორი პოლიტიკურ განათლების მთავარი სამმართველოსა რუსულ ენაზე წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე „პარიზის კომუნა".

◆ **კინო.** კინო პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოსი დღეს უკანასკნელათ აჩვენებს ეკრანზე 6 მოქმედებიან სურათებს „შერლოკ ხოლმს".

◆ **მუშათა კლუბი მიხა ცხაკაიას სახელობისა.** ორშაბათს, 5 ენკენისთვეს კლუბის დარბაზში მოძრავი დრამატიული დასის მიერ იქნება წარმოდგენილი ფ. ლოტარის პიესა „მასხარა მეფის ტახტზე".

◆ **სახალხო სახლი** სამშაბათს, 6 ენკენისთვეს ოპერის დასი სახალხო სახლის სცენაზე დადგამს: „ოპერის სცენები" ხუთშაბათს 8 ენკენისთვეს ოპერას „ფაუსტი" ახალი ძალების მონაწილეობით.

— იგივე მოძრავი დრამატიული დასი კვირას 4 ენკენისთვეს სდგამს პიესას ფ. ლოტარისას „მასხარა მეფის ტახტზე" ოთხშაბათს 6 და 7 ხუთშაბათს სდგამს ბერნარდ შოუს პიესას „ხალხის აღმაშფოთებელი".

პარტიული ცხოვრება

ზუგდიდი.

1921 წ. 21 აგვისტოს მოხდა ზუგდიდის რაიონის კონფერენცია, დაესწრო 25 დელეგატი; პრეზიდიუმში იქნა არჩეული 1, ამხ. კიმოთე თოდრია, 2, თედორე გაბედავა და 3, კოლია გვალია. კრება გაიხსნა ზუგ. მაზრის პარტ. დარბაზში, საღამოს ხუთ საათზე.

დღიური წესრიგი.

1) მოხსენება მომენტის შესახებ, 1) რაიკომის მოხსენება. 3) მიწის საკითხი, 4) კვირიული სკოლების გახსნა, 5) უპარტიო პირებისათვის იარაღის აღკრძალვა, 6) ანტი საბჭოთა წინააღმდეგ ბრძოლა, 7) სამაზრო კონფერენციისათვის დელეგატების არჩევა და 8) რაიონულ კომიტეტების არჩევა.

ამხ. აკაკი ქავთარაძემ მოხსენება გააკეთა მომენტის შესახებ, რომელმაც ფართოთ გააცნო კრებას მომენტის მდგომარეობა. კონფერენცია მეტს ყურადღებას აქცევს მიწის საკითხს მხურვალეთ ესალმება ამხ. ფილიპე მახარაძის უკანასკნელ წერილს, რომელიც მოთავსებულ იყო გაზ. „კომუნისტში" ამხ. მახარაძე ნათლად და გარკვეულად აღნიშნავს საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას მიწის საკითხზე. მხოლოდ ასეთ პოლიტიკას შეუძლია მიიყვანოს მშრომელი ხალხი გამარჯვებამდე. კონფერენცია იმედს გამოსთქვამს, საქარ. საბჭ. მთავრობა ახლობელ მომავალში განახორციელებს ლოზუნგს: მიწა მიწის მუშას. კონფერენცია ფიცსა სდებს, როგორც ერთი ნაწილი კომუნისტური პარტიისა, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვას სისხლით მონაპოვარი თავისუფლება. გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა მთავრობას, გაუმარჯოს მე-3-მე კომუნისტურ ინტერნაციონალს, გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას.

რაიკომის მუშაობის შესახებ გააკეთის მოხსენება რაიკომის წევრებმა ამხ. ბიქტორი თორდია და ამხ. ბართლომე ბეჭვაიამ და ამხ. ვარლამი ჯღამაიამ. კონფერენცია მოხსენებით კმაყოფილი დარჩა და გამოუცხადა ამხანაგებს დიდი მადლობა პარტიული საქმის კარგად წარმართვისათვის.

კონფერენციამ მოისმინა რა კვირიული სკოლის გახსნის შესახებ ამხ. ქავთარაძის მოხსენება, დაადგინა: ყოველ კუთხეებში გახსნილ იქნას კვირიეული სკოლა.

უპარტიო პირების მიერ იარაღის ტარების შესახებ კრებამ დაადგინა: უპარტიო პირებს აეკრძალოს იარაღის ტარება, ამის სისრულეში მოყვანა მიენდოს იმ დაწესებულებას, რომელსაც ეკუთნოდეს.

ანტისაბჭოთა ბრძოლის შესახებ გააკეთა მოხსენება ამხ. [illegible] გარდავამ, რომელიც შეეხო სხვა და სხვა პროვოკაციას, რომელსაც ავრცელებენ წინააღმდეგ საქართველოს საბჭოთა მთავრობისა. კონფერენციამ დაადგინა: პროვოკაციის გამავრცელებელი ელემენტები იქნას დასჯილი რევოლუციონურ კანონების მიხედვით.

სამაზრო კონფერენციის დელეგატათ იქნა არჩეული ხმის უმრავლესობით ხუთი ამხანაგი. 1) ბიქტორ თორდია 2) ვარლამი ჯღამაია 3) კიმოთე თორდია 4) ბართლომე ბეჭვაია 5) იაკო ქირია.

რაიონულ კომიტეტში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები 1) ვარლამი ჯღამაია 2) კონდრატე ჯიქია 3) ბართლომე ბეჭვაია 4) სილიბისტრო როგავა 5) ბიქტორი თორდია. კრება იქნა დახურული ღამის ორ საათზე.

ზ. ჯ.

სალხინო (სენაკის მაზრა)

29 ივლისიდან 15 აგვისტომდე რაიონული პარტიული კომიტეტის ინიციატივით მთელს სალხინოს რაიონში მოხდა ჩანასახების რეორგანიზაცია. გაწმენდილი იქმნა ყველა ჩანასახები არა საიმედო ელემენტებისაგან და ამით მტკიცე საფუძველი ჩაეყარა მტკიცე ორგანიზაციებს. ის ნაკლოვანებანი, რომლებიც ქონდა ჩანასახებს გასწორებულ იქნა. დაინიშნა ყველა ჩანასახებში საიმედო ხელმძღვანელები, რომლებიც უწევენ მათ სათანადო ხელმძღვანელობას. მთელს რაიონში არსებობს 22 მტკიცე ჩანასახი, წევრების და კანდიდატების საკმაო რიცხვით. პარტიული მეცადინეობა ჩანასახებში გაცხოველებულია, გაზეთ ბროშიურებს ღებულობენ კარგად. აქვე უნდა აღვნიშნო შემდეგი; მიუხედავად სხვა და სხვა შექმნილ მძიმე პირობებისა, ჩანასახებში მაინც აყარებული გლეხები ეწერებიან და უღრმეს სურვილს გამოსთქვამენ მათი პარტიაში კანდიდატად ჩარიცხვის შესახებ. რაიონის სხვა და სხვა ადგილებში ხშირად ეწყობა მიტინგები და კრებები, ხალხი ბლომად ესწრება.

ი. გულორდავა

წარმოებითი პროფკავშირებში

საქართველოს პროფკავშირის საბჭოს პრეზიდიუმში.

პრეზიდიუმმა დაადგინა შეაერთოს ადელხანოვის ქარხანა ერთ მმართველობად, დაუმორჩილოს იგი ს. მ. უ. ს. ტყავის განყოფილებას, გარდა სამკერვალო ნაწილისა, რომელიც გადაეცემა ცენტრალურ სამკერვალოს წინადადება მიეცემა გადაიტანოს იგი ქარხნიდან ქარხანას ყველა მუშები, გარდა მკერვალებისა, გადაყვანილ იქნებიან მეტყავეთა კავშირში.

პრეზიდიუმმა შუამდგომლობა წარუდგინა ქალაქის რევკომს იმის შესახებ, რომ ერთ ერთ საბჭოთა სახლი დაუთმოს გლეხის სახლის მოსაწყობათ ამხ ვირსპა და [illegible] მიანდოს შეუთანხმოს მიწათ-მოქმედების კომისარიატის მუშაობას ორგანიზაცია მოძრავ სარემონტო ქარხნებისა სასოფლო სამეურნეო მანქანების შესაკეთებლათ.

ქიმიკოსთა კავშირის ყრილობის გამო

ქიმიკოსთა კავშირის საორგანიზაციო ბიურო იწვევს სრულიად საქართველოს ყრილობას. დღის წესრიგი: 1) მიმდინარე მომენტი და საქართველოს საბჭოთა აღმშენებლობა, 2) საორგანიზაციო ბიუროს ანგარიში, 3) პროფკავშირების მიზნები და მათი მონაწილეობა წარმოებაში, 4) კავშირის საორგანიზაციო საკითხები, 5) სატარიფო საკითხი, 6) სახმეურნეობის უმაღლეს საბჭოს ქიმიურ განყოფილების მოხსენება, 7) პროფკავშირები, კოოპერაცია და მუშათა ყოფა ცხოვრების გაუმჯობესობა, 8) კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა და პროფესიონალური ტეხნიკური განათლება, 9) დახმარება დამშეულებს, 10) ცენტრალური გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევანი 11) მიმდინარე საქმეები.

ყრილობის მოსამზადებლათ პროვინციაში ჰგზავნიან საუკეთესო მუშაკებს. სარაიონო შეერთებანი თავიანთ მხრივ უნდა შეუდგნენ კავშირის განყოფილებათა მოწყობას ყველა პუნქტებში. კავშირის სამაზრო განყოფილებამ უნდა მოიწვიონ სამაზრო კონფერენციები ყრილობისთვის დელეგატების გასაგზავნათ. წარმომადგენლობის ნორმა შემდეგია: საორგანიზაცია, რომელსაც 15 წევრამდე ჰყავს, ჰგზავნიან 1 დელეგატს სათათბირო ხმით, თუ 15-დან 25 წევრამდე ჰყავს ჰგზავნიდენ 1 დელეგატს გადამწყვეტი ხმით, თუ 25 წევრზე მეტი ჰყავს ჰგზავნიან თითო დელეგატს ყოველ 25 წევრზე. ამასთან თუ ნაშთი 15 და მეტი აძლევს უფლებას ერთი დელეგატის არჩევისას. არჩევის წესრიგი ასეთია: სამაზრო ქალაქები იწვევენ რაიონში მყოფ ყველა ორგანიზაციებს მოკავშირეთა იაჩეიკების კონფერენციას და არჩევნები ხდება იმავე ნორმით შეერთებულ წევრების საერთო რიცხვიდან. ცალკე სოფლების წევრთა წვრილ ჯგუფებს შეუძლიანთ შეერთდნენ დელეგატების საერთოთ გასაგზავნათ, ქიმიკოსების კავშირის საორგანიზაციო ბიურო იმყოფება ტფილისში მუშათა სასახლე ოთახი 24–26.

პროვინციაში

1921 წ. 23 აგვისტოს შესდგა კოჯორის მეორე ბავშვთა ახალშენის მოგარაკე ბავშვთა კრება. თავმჯდომარეთ აირჩიეს ამხ. ქეთია პანამაროვი. მდივნათ ამხ. ნადია ერმოლენკო. დღის წესრიგში იყო რუსეთის დამშეულ ბავშვთა დახმარება. მოხსენება გააკეთა ქართულ ენაზე ამხ. ლოლა ბიბინეიშვილმა. რუსულ ენაზე ამხ. ბეტამ. მომხსენებლებმა დაახასიათეს რუსეთის ხალხის, ვოლგის რაიონის მოუსავლობის მიზეზით გამოწვეული საშინელი სიმშილი. რომელმაც მთელი ახალშენის ბავშვებში დიდი თანაგრძნობა გამოიწვია. ბავშვებმა ერთხმათ გადასწყვიტეს მათ მოძმე ამხ. რუსეთის ბავშვებს დაეხმარონ მათი დღიური ულუფით, და დღიურათ იკლებენ თავიანთი ულუფიდან ერთ მეოთხედ გირვანქა პურს შაქარს, ბრინჯს და ლობიოს. ამავე დროს გადასწყვიტეს შეუერთდნენ კოჯორის ბავშვთა პირველ ახალშენის ბავშვებს და შეერთებული ძალით გამართონ გრანდიოზული დღე რუსეთის დამშეულ ბავშვთ ვე სასარგებლოთ.

კრება გაიხსნა და დამთავრდა ბავშვთა ინტერნაციონალით.

გაუმარჯოს ბავშვთა სოლიდარობას და მათ უმანკო და უანგარო დახმარებას.

ლოლა.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 60.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა მიწების თესვის ცენტრალურისა და სამაზრო კომისიათა მოქმედების განგრძობის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი აუცილებელ საჭიროებად სცნობს განგრძობილ იქნეს მიწების თესვის ცენტრალურისა და სამაზრო კომისიათა მუშაობა და ამისგამო ადგენს:

1. საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის მიერ მიწების დათესვის შესახებ ამა 1921 წლის მარტის 18 თარიღითა და 1-ლი №-ით გამოცემული დადგენილების ძალა განგრძობილ იქნეს მიმდინარე შემოდგომის თესვის პერიოდისათვის.

2. კვლავ დაევალოს ყველა დაწესებულებასა და თანამდებობის პირს, სრული დახმარება აღმოუჩინონ მიწების თესვის კომისიებს მათდამი მინდობილი საქმის აღსასრულებლად.

3. ის, ვინც ამ დადგენილებას არ აღასრულებს, მიეცემა პასუხისგებაში რევოლიუციონურ დროის კანონთა სრული სიმკაცრისამებრ.

4. დადგენილება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი**

მიწათ მოქმედების სახალხო კომისარი **ფ. მახარაძე.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. სვანიძე.**

1921 წ. სექტემბრის 2.

ტფილისი სასახლე.

შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილება

ხარჯთა დარგებით მობილიზაციის შესახებ.

თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა ა. წ. აგვისტოს 10 ს თარიღით № 56 ით, შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. მთავრობის დადგენილებაში აღნიშნული ტფილისის სარაჯნი (შორნიკი), ასაკით 18 დან 55 წლამდე, დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა ირიცხებიან მობილიზაციაში გაწვეულად და მოვალენი არიან არა უგვიანეს სექტემბრის 9 სა გამოცხადდნენ მუშა ხელის აღრიცხვა-განაწილების განყოფილებაში (ძველი შრომის ბირჟა, მადათოვის ქუჩა, № 11) საქართველოს უმაღლეს სამეურნეო საბჭოს ტყავეულობის ნაწილში და სამხედრო სახელოსნოში დროებით სამუშაოზე გაგზავნისათვის.

2. მობილიზაციას ექვემდებარებიან:

ა) ის სარაჯნი, ვინც კერძო წარმოებას მუშაობს.

ბ) შინამრეწველი, რომელიც სახელმწიფო საჭიროებისათვის არ მუშაობს.

გ) ის პირი, ვინც თავის სპეციალობას არ მისდევს და

დ) უმუშევარი სარაჯი.

3. მობილიზაციით გაწვეულთ ევალებათ თავის იარაღი, რომლითაც ისინი წარმოებაში მუშაობენ, თან მიიტანონ სამუშაოზე მისვლისას.

4. იმ წარმოების პატრონი ან გამგე, ვისთანაც სარაჯნი [illegible], მოვალეა დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოს სამუშაოსაგან მობილიზაციით მოკითხული ოსტატი და წერილობით აცნობოს მუშა ხელის აღრიცხვა განაწილების განყოფილებას შემდეგ ცნობათა დართვით: ა) რამდენი კაცია მობილიზაციით გაწვეული მისი წარმოებიდან, ბ) თითოეულ ამათგანის გვარი და სახელი და გ) ბინადრობის მისამართი.

5. წარმოების პატრონი ან გამგე მოვალეა მობილიზაციით გაწვეულთ, მობილიზაციის განმავლობაში აძლიოს ნახევარი ჯამაგირისა და ოჯახის წევრთათვის განკუთვნილი სასურსათო ულუფა.

6. სარაჯნი, ვისაც ავადმყოფობის ან სხვა რომელიმე მიზეზის გამო არ შეუძლიან დანიშნულ ვადაზე გამოცხადება, მოვალენი არიან თავიანთ ნათესავთა ხელით წარადგინონ სახლის კომიტეტის მიერ შემოწმებული ცნობა გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ.

7. სახლის კომიტეტებს, ამა დადგენილების გამოცხადების შემდეგ სამი დღის განმავლობაში ევალებათ [illegible] სარაჯებისაგან მოითხოვონ სათანადო მოწმობები მობილიზაციაზე გამოცხადების შესახებ.

8. მობილიზაციის პირველ დღეთ ითვლება სექტემბრის 6 ი.

9 მობილიზაციაზე არ გამოცხადებულნი, თავიანთი სპეციალობის დამფარავნი, წარმოების პატრონები და სახლის კომიტეტის მდივნები, ვინც საჭირო ცნობას არ წარადგენს მუშა ხელის განყოფილებაში, დაისჯებიან სამხედრო დეზერტირობის კანონთა მიხედვით.

შრომის სახალხო კომისრის მოადგილე **მიქაძე.**

საქმეთა მმართველი **მ. ბერძნიშვილი.**

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი" ტელ. 1—33.

— მე 2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე 3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ხე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—52.

— მე 5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

მუშათა მთლიანი კოოპერატივი,

პროფესიონალურ კავშირების, ფაბკომების, ადკომების და კავშირების წევრთა საყურადღებოდ.

მთლიანი მუშათა კოოპერატივის დროებითი გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამა თვის 5 იწყება მუშათა კოოპერატივის წევრებად ჩაწერა. ჩაწერის წესი შემდეგია: ფაბკომის ან ადკომის წარმომადგენელი ღებულობს მისი წარმოების ყველა მუშა მოსამსახურეთათვის საანკეტო ფურცლებს. შევსებულ ფურცლებს უბრუნებს უკანვე და თან უნდა წარმოადგინოს ჩასაწერი 1,000 მან. და საპაიო 5,000 მან. მუშათა კოოპერატივის გამგეობის მისამართი: ყოფილი ბინა ქალაქის სასურსათო კომიტეტისა, კირკის ქუჩა, № 7. საანკეტო ფურცლების გაცემა სწარმოებს საბუღალტრო ოთახში—მე 3 სართულში, დილის 8—2 საათამდე, გარდა კვირა უქმე დღეებისა.

დროებითი გამგეობა.

პროფესიონალური

იხსნება კურსები ასოთ-ამწყობებისათვის.

მიღება მოწაფეთა სწარმოებს მბეჭდავთა კავშირის კულტგანყოფილებაში (მუშათა სასახლე ოთახი № 33 დილის 9 10 საათამდე), სადაც შეიძლება მიღება ყოველგვარი ცნობებისა. ორივე ჯგუფში როგორც რუსულზე ისე ქართულზე მიიღებიან წერა კითხვის მცოდნენი 16 30 წლამდე. კურსანტები მიიღებენ ორმაგ ჯამაგირს, და ერთ გირვანქა პურს დღეში, გარდა ჩვეულებრივ მუშათა მაგიდის ნორმისა.

— ქალ. თბილისის და მის რაიონების მებოსტნეების და მებაღეების ადგილობრივი კომიტეტი 4 სექტემბერს, დღეს, დღის 12 საათზე ბიუროს ბინაზე (ვორონცოვის ქ., № 91) იწვევს მებოსტნეების და მებაღეების საზოგადო კრებას შემდეგი საკითხების განსახილველათ: 1. დამშეულთა დახმარება. 2. ბოსტნები და ბაღები ქალაქის რევკომის ახალ ბრძანებებთან დაკავშირებით. 3. ადგილობრივ კომიტეტის ახალი წევრების არჩევანი. 4. მიმდინარე საქმეები.

დასწრება სავალდებულოა ყველასთვის. ვინც არ დაესწრება არაპატივსადებ მიზეზისა გამო, მის წინააღმდეგ ზომები იქნება მიღებული, კავშირიდანაც კი შეიძლება გამოირიცხოს.

კრება შესდგება რამდენიც უნდა წევრი გამოცხადდეს ნაშუადღევის 1 საათამდე.

სხვა და სხვა

— თბ. კომ. [illegible] ქალთა განყოფილება აცხადებს, რომ დღეს 4 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, მიხა ცხაკაიას სახელობის კლუბში დანიშნულია პირველი შეერთებული კრება სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებებში მომუშავე ქალებისა. მოხსენებას გააკეთებენ ამხ. ნუცუბიძე და ვირაპი. შემდეგ თემაზე: პროფკავშირების მიზნები და ამოცანები.

მბეჭდავთა კავშირის გამგეობა

ამით აცხადებს კავშირის წევრთა საყურადღებოთ, რომ 1 სექტემბრისათვის დანიშნულ სრულიად საქართველოს პოლიგრაფიულ წარმოების კონფერენცია გადადებულია და დანიშნულია 15 სექტემბრისათვის 1921 წ. ვინაიდან გამგეობა ღებულობს პროვინციელ ამხანაგებიდან ცნობას, რომ მათ 1 სექტემბრისათვის ჩამოსვლა არ შეეძლებათ.

გამგეობა.

სურსათზე მომუშავეთა პროფკავშირის პრეზიდიუმი ამით აცხადებს, რომ 11 სექტემბერს, ამა წელს,

შესდგება სრულიად საქართველოს სურსათზე მომუშავეთა პროფკავშირის ყრილობა

დღის წესრიგი: 1) მიმდინარე მომენტი და საბჭოთა აღმშენებლობა, 2) ანგარიში ცენტრალური გამგეობისა, 3) ანგარიში სარევიზიო კომისიისა, 4) მოხსენება ადგილებიდან, 5) ორგანიზაციული მიზანი კავშირისა, 6) მოხსენება ტარიფის შესახებ, 8) მოხსენება ს. მ. უ. საბჭოს სურსათის განყოფილებიდან, 8) მოხსენება პურის საცხობის განყოფილებიდან, 9) პროფკავშირის მონაწილეობა წარმოებაში, 10) კულტ. განყოფილების მოხსენება, 11 მუშათა მომარაგება, 12) არჩევნება ცენტრალური გამგეობისა, [illegible] სარევიზიო კომისიისა.

სურსათზე მომუშავეთა პროფკავშირის გამგეობა.

[illegible] ქ., № 4.